KA020114512931320

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ბრძანება

№ 1-1/19 **15 / იანვარი / 2020 წ.**

ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის ადმინისტრაციული საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღების შესახებ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარმოდგენილია, ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა და გიგა ჩოხელის 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით. ადმინისტრაციულ საჩივარში ასევე დაყენებულია შუამდგომლობა სამინისტროს მიერ გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის 13 იანვრის N2-07/290 წერილით მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების მოქმედების შეჩერება გამოიწვევს სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) ხარჯების გაზრდას. შესაბამისად, სამინისტროს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის შუამდგომლობა გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 183-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, 196-ე მუხლის, 184-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 202-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივისა (ს/კ 204952676) და გიგა ჩოხელის (პ/ნ 01811098627) 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი მიღებულ იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვროს წარმოებაში მიღების დღიდან 2 თვე.

2. საჩივრის ავტორების შუამდგომლობა, „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე, არ დაკმაყოფილდეს.

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და დაევალოს საჩივარში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში.

4. დაინტერესებული პირი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტი ჩაბმულ იქნეს ადმინისტრაციულ წარმოებაში და გადაეგზავნოს ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები.

5. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ღია სხდომაზე ზეპირი მოსმენა დაინიშნოს **2020 წლის 14 თებერვალს 16:00 საათზე**, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2) და წინადადება მიეცეთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს უშუალოდ ან კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმომადგენლობის უფლებით აღჭურვილი პირის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ზეპირ მოსმენაში დანიშნულ დროს.

6. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს მიეცეს წინადადება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და დამატებითი დოკუმენტები (მტკიცებულებები) განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

7. ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად მომზადება და მისი განხილვის უფლებამოსილება მიენიჭოს სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს.

8. ბრძანება, გარდა მე-2 პუნქტისა, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წარმოების საკითხზე მიღებულ საბოლოო (შემაჯამებელ) გადაწყვეტილებასთან ერთად.

9. ბრძანების მე-2 პუნქტი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ენუქიძე

KA020142188441020

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 04/95

09 / იანვარი / 2020 წ.

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარმოდგენილია ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივისა (ს/კ 204952676) და გიგა ჩოხელის (პ/ნ 01811098627) 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების ბათილად ცნობა და მისი მოქმედების შეჩერება საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან.

გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია გასაჩივრებული ბრძანების მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით.

დანართი: 43 ფურცელი

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ენუქიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-07/290
13/01/2020

290-2-07-2-202001132001

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ნინო ენუქიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) შემოვიდა თქვენი 2020 წლის 09 იანვარს №04/95 წერილი (შემდგომში - წერილი), რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილია ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივისა (ს/კ 204952676) და გიგა ჩოხელის (პ/ნ 01811098627) 2019 წლის 27 დეკემბრის N19014/21 ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილია „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების (შემდგომში - ბრძანება) ბათილად ცნობა და მისი მოქმედების შეჩერება საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აღნიშნული გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას.

ბრძანების მოქმედების შეჩერება დაუშვებელია, ვინაიდან აღნიშნული გამოიწვევს სახელმწიფო ორგანოს (ამ შემთხვევაში - დეპარტამენტის) ხარჯების გაზრდას, შემდეგი გარემოებების გამო:

1. დეპარტამენტი ახორციელებს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის (ქვეშეთი-კობის) გზის პროექტს (შემდგომში - პროექტი), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეშეთი-კობის საავტომობილო გვირაბის (ლოტი I) და ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის (ლოტი II) მშენებლობა (შემდგომში - სამშენებლო სამუშაოები). აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციასთან ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის გახსნის შემდგომ აღნიშნული გზით ინტენსიურად სარგებლობენ საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიები (თურქეთიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და სხვა), ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები. შედეგად ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა ავტოტრანსპორტის ინტენსივობამ და ტვირთბრუნვამ. აღნიშნული გზის მონაკვეთი წარმოადგენს ჩრდილოეთ – სამხრეთის E-117 საავტომობილო–სატრანზიტო დერეფანს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის E-60 და E70, TEN-T ქსელის Core Network-ის საავტომობილო სატრანზიტო დერეფანთან. მოცემულ მონაკვეთზე არის ინტენსიური საავტომობილო მოძრაობა შემდეგი სატრანსპორტო ფაქტორების გათვალისწინებით:

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

• სომხეთი–რუსეთის, თურქეთი–რუსეთის, საქართველო–რუსეთის და აზერბაიჯანი-რუსეთის გადაზიდვები;

• გუდაურის და ყაზბეგის კურორტებთან მისასვლელი საავტომობილო გზა.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჯვრის უღელტეხილზე ზამთრის რთული პირობებიდან გამომდინარე ფერხდება სატრანსპორტო მოძრაობა და ხშირ შემთხვევებში საერთოდ იკეტება. გზის მშენებლობის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდება მოძრაობის უსაფრთხოება, გაიზრდება საავტომობილო გზის გამტარუნარიანობა, გადაადგილების სიჩქარე, შემცირდება გადაადგილების დრო და საავტომობილო გზა მთელი წლის განმავლობაში იქნება განვლად მდგომარეობაში, რაც, თავის მხრივ, გაზრდის საქართველოზე გამავალი E60, E70 და TEN-T ქსელის Core Network-ის კონკურენტუნარიანობას სხვა დერეფნებთან მიმართებაში.

ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოები (ლოტი 2) ითვალისწინებს 12.72 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობას ასფალტ-ბეტონის საფარით. პროექტით გათვალისწინებულია 5 ხიდის (რაც მოიცავს 426მ სიგრძის თაღოვან ხიდს) და 4 გვირაბის მშენებლობა, ხოლო ლოტი 1 ითვალისწინებს 10 კილომეტრი გზის, მათ შორის 9 კმ გვირაბის მშენებლობას.

პროექტის დაფინანსება ხორციელდება საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 11 ოქტომბერს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 10 დეკემბრის N5447-Iს დადგენილებით) ფარგლებში და საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის 2019 წლის 27 აგვისტოს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი) (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 16 ოქტომბრის N5139-Iს დადგენილებით) ფარგლებში.

2. დეპარტამენტსა და China Railway Tunnel Group Co. Ltd (PRC)-ს შორის 2019 წლის 05 სექტემბერს გაფორმებული №KKRP/CW/CP-01R ხელშეკრულების საფუძველზე, China Railway Tunnel Group Co. Ltd (PRC) განახორციელებს ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის (გვირაბის) მშენებლობის პროექტს.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 909 024 280.62 (ცხრაას ცხრა მილიონ ოცდაოთხი ათას ორას ოთხმოცი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარს ადგილობრივი გადასახადების ჩათვლით. ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 1 460 დღეს, ხოლო დეფექტების შეტყობინების პერიოდი შეადგენს 730 დღეს.

ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია 90 902 428.06 ლარის ღირებულების ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები.

ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია 36 360 971.22 ლარის და 53 906 039.40 აშშ დოლარის ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები.

3. დეპარტამენტსა და China Railway 23rd Bureau Group Co. Ltd-ს შორის 2019 წლის 15 აგვისტოს გაფორმებული №KKRP/CW/CP-02 ხელშეკრულების ფარგლებში, China Railway 23rd Bureau Group Co. Ltd განახორციელებს ქვეშეთი-კობის საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობის პროექტს.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 316 370 802.91 (სამას თექვსმეტი მილიონ სამას სამოცდაათი ათას რვაას ორი ლარი და ოთხმოცდათერთმეტი თეთრი) ლარს ადგილობრივი გადასახადების ჩათვლით. ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 1 080 დღე, ხოლო დეფექტების შეტყობინების პერიოდი შეადგენს 730 დღეს.

ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია 31 637 080.3 ლარის ღირებულების ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები.

ხელშეკრულების ფარგლებში წარმოდგენილია 31 637 080.29 ლარის და 11 956 568.52 აშშ დოლარის ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები.

4. ზემოხსენებული ხელშეკრულებების 1.13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამქირავებელს (ამ შემთხვევაში - დეპარტამენტს) მოპოვებული უნდა ქონდეს (ან უნდა მოიპოვოს) დაგეგმვის, ზონირების და მშენებლობის ნებართვა ან მსგავსი ნებართვა, რომელიც აუცილებელია მუდმივი სამუშაოებისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა ნებართვები, რომლებიც სპეციფიკაციებში განისაზღვრება როგორც დამქირავებლის მიერ მოპოვებული (ან მოსაპოვებელი) და დამქირავებელმა უნდა დაიცვას კონტრაქტორი და აარიდოს მას ზიანის მიყენება ამ ვალდებულების რაიმე სახით შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგების გამო.

დეპარტამენტს მოპოვებული აქვს სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ნებართვა. კერძოდ, „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების საფუძველზე, გაცემულია მშენებლობის ნებართვა ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2).

ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.8 პუნქტის შესაბამისად, ინჟინერს (პირი, რომელიც დანიშნულია დამქირავებლის (დეპარტამენტის) მიერ, ხელშეკრულების მიზნებისათვის ინჟინრის მოვალეობების შესასრულებლად...) შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს კონტრაქტორს სამუშაოების ნაწილის ან მთლიანად შესრულების შეჩერება...

იმ შემთხვევაში, თუ ბრძანების მოქმედება შეჩერდება, დეპარტამენტის მითითებით, ინჟინერი იძულებული იქნება მოსთხოვოს კონტრაქტორს სამუშაოების დროებით შეჩერება (ბრძანების მოქმედების შეჩერების ვადით)...

ხელშეკრულების ზოგადი პირობების 8.9 პუნქტი ითვალისწინებს შეჩერების შედეგებს. კერძოდ, თუ კონტრაქტორი განიცდის დაყოვნებას და/ან ხარჯებს ინჟინრის მიერ 8.8 პუნქტის (სამუშაოს დროებით შეჩერება) შესაბამისად გაცემული ინსტრუქციების შესრულების და/ან მუშაობის განახლების შედეგად, კონტრაქტორმა უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ინჟინერს, რის შემდეგაც მას უფლება აქვს 20.1 (კონტრაქტორის პრეტენზიები) პუნქტის შესაბამისად მოითხოვოს:

ა) ვადის გაზრდა ყოველი ასეთი შეფერხებისათვის 8.4 (დასრულების ვადის გადატანა) პუნქტის შესაბამისად, თუ ეს იწვევს ან გამოიწვევს დასრულების ვადის გაზრდას, და

ბ) ყველა ასეთი ხარჯის და მოგების ანაზღაურება, რომელიც შეტანილი უნდა იყოს საკონტრაქტო ფასში.

სამუშაოების დროებით შეჩერების შემთხვევაში, აუცილებელი გახდება სამუშაოების დასრულების ვადის გახანგრძლივება, რაც საშუალებას მისცემს კონტრაქტორს დაყოვნების გამო მოითხოვოს ყველა ხარჯის და მოგების ანაზღაურება.

სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელებისას აუცილებელი გახდება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის და ავანსის უზრუნველყოფის გარანტიების ვადის გაგრძელება. ამ შემთხვევაში, იმ პერიოდზე, რა ვადითაც მოხდება დაყოვნება, მშენებლობის ნებართვის შეჩერების გამო, კონტრაქტორს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება, მათ შორის საბანკო გარანტიებთან დაკავშირებით, დაყოვნების გამო გამოწვეული ხარჯების/ზიანის ანაზღაურების შესახებ. რაც თავისთავად ნიშნავს, რომ აღნიშნული გამოიწვევს ხარჯების გაზრდას. მათ შორის, კონტრაქტორს წარმოეშობა ტექნიკის, მუშა ხელის მოცდენის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სადაზღვევო პოლისების (სამშენებლო სამუშაოების, ქონების, ტექნიკის და სხვა) ვადის გაგრძელების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და სხვა.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია გახანგრძლივებული შეჩერების შედეგები (ხელშეკრულებების ზოგადი პირობების 8.11 პუნქტი). კერძოდ, თუ ხელშეკრულებების ზოგადი

პირობების 8.8 პუნქტით [მუშაობის შეჩერება] განსაზღვრული შეჩერება 84 დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში გრძელდება, კონტრაქტორს უფლება აქვს მოითხოვოს ინჟინერისგან სამუშაოს განახლების ნებართვა. თუ ინჟინერი არ გასცემს ნებართვას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 28 დღის ვადაში, კონტრაქტორს შეუძლია ინჟინერისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე განიხილოს დროებითი შეჩერება როგორც მუხლით 13 [ცვლილებები და კორექტირებები] განსაზღვრული გამოტოვების შემთხვევა. იმ შემთხვევაში, როდესაც დროებითი შეჩერება მთელს სამუშაოებზე მოქმედებს, კონტრაქტორს შეუძლია გააგზავნოს შეტყობინება შეწყვეტის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 16.2 პუნქტში (შეწყვეტა კონტრაქტორის მიერ). შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი შეწყვიტავს ხელშეკრულებას დეპარტამენტს კონტრაქტორისთის მოუწევს ყველა ხარჯის ანაზღაურება ხელშეკრულების 16.4 პუნქტის შესაბამისად რითაც მიადგება უდიდესი ზარალი, ასევე დეპარტამენტი იძულებული იქნება პროექტის განსახორციელებლად ტენდერი გამოაცხადოს თავიდან, რაც გამოიწვევს პროექტის შეჩერებას და შესაძლებელია გაიზარდოს პროექტის ღირებულება, რაც უარყოფითად იმოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზე.

ზემოხსენებულ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება ხორციელდება დეპარტამენტსა და UBM ULUSLARARASI BIRLESMIS MUSAVIRLER MUSAVIRLIK HIZMETLERI A.S.-ს შორის 2019 წლის 24 ივნისს გაფორმებული №KKRP/CS/QCBS-01 ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნული ხელშეკრულება არის დროზე დაფუძნებული (Time – Based), რაც გულისხმობს, რომ ანაზღაურება ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება ყოველთვიური დანახარჯების შესაბამისად. სამუშაოების შეჩერების პერიოდში, დამკვეთს მოუწევს საზედამხედველო მომსახურეობის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა სამშენებლო სამუშაოები. შესაბამისად, ბრძანების შეჩერების შემთხვევაში (რაც თავისთავად გამოიწვევს სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას), აუცილებელი გახდება საზედამხედველო მომსახურების ვადის გაგრძელებაც, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უდაოა, რომ ბრძანების მოქმედების შეჩერება გაზრდის სახელმწიფო ორგანოს ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი - 1 და ლოტი - 2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის N188-04 ბრძანების მოქმედების შეჩერება დაუშვებელია.

პატივისცემით,

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.